საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში



განხორციელების ვადა: 26.01.2019 - 17.10.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 3 642 200

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Sofreco, Particip GmbH Consultants für Entwicklung und Umwelt, Konrad-Adenauer-Stiftung

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/EUforPARinGEORGIA

პროექტის ვებსაიტები: n/a

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი და საქართველო აცნობიერებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საჯარო მმართველობის რეფორმას იმ პროცესებში, რომელიც მიმდინარეობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების ეფექტურად განხორციელებისთვის. ეს პროექტი უზრუნველყოფს საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმების განხორციელების ტექნიკურ მხარდაჭერას ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერების გზით.
პროექტი:
- აძლიერებს ცენტრალური საჯარო მმართველობის ეფექტურობას პოლიტიკაზე დაფუძნებული, შედეგებზე ორიენტირებული მიდგომის განხორციელებით;
- აძლიერებს საჯარო სამსახურების ფუნქციონირებას პროფესიული სტანდარტების მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების მიხედვით;
- ზრდის მოქალაქეებისთვის გამჭვირვალე, ადვილად მისაწვდომ და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას;
- ზრდის აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობს კორუფციასთან ბრძოლის პროცესების გაუმჯობესებას;
- აძლიერებს საჯარო დაფინანსების პოლიტიკის პროცესს საჯარო დაწესებულებებში.

მოსალოდნელი შედეგები:

•მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების გაძლიერება;
•საზოგადოებრივი კონსულტაციების გაუმჯობესებული ჩარჩო;
•საჯარო დაწესებულებების მენეჯერებისა და ადამიანური რესურსების სამმართველოების გაძლიერებული შესაძლებლობები საჯარო სამსახურის რეფორმის განსახორციელებლად;
•სამინისტროების გაუმჯობესებული შიდა პროცესები.
•საჯარო მოსამსახურეთა გაუმჯობესებული ცოდნა და შესაძლებლობები საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების პოლიტიკისა და მექანიზმების შესახებ;
•სახელმწიფო სერვისის შექმნისა და მიწოდების გაუმჯობესებული პროცესები;
•საჯარო დაწესებულებების თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდა და მხარდაჭერა PAR-ის მიმართ;
•საზოგადოების ცნობიერების ამაღლება PAR-ის შესახებ;
•საჯარო მმართველობის რეფორმაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
•სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები შედეგებზე ორიენტირებულ მენეჯმენტსა და განხორციელებაში, საჯარო პოლიტიკის ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაში;
•სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაზრდილი სანდოობა და ანგარიშვალდებულება;
•ინფორმაციის თავისუფლების გაუმჯობესებული საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკული მექანიზმები;
•სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაუმჯობესებული კომუნიკაციისა და ხილვადობის ღონისძიებები.